

მართობა

ფასი 1 მან.

გახეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. მარცხენა და მარჯვენა სი როგორც პირველ გვერდზე ასევე მთელი პეტიტის სტრიქონი—2 მანეთი. განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები ირ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.
ტელეფონი 16-62.

რედაქცია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული რუსეთის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინო დიმიტრის ასული, დედა ვანსენგებულისა, შვილები: გიორგი, შაქრო და სოფიო სულხანიშვილები და ცოლისდა მარიამ დიმიტრის ასული ჩუგუნძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ
დავით ქრისტაფორის კე სულხანიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე. არკადის შესახ., № 11—5. გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმად დამწუხრებული ნიკოლოზ დარისანის ძე და სოფიო თომას ასული აბულაძენი თავის შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი საყვარელ შვილისა და უკაასკენლნი ძმის საპიროთა სიხსენ. ბათალიონის პოდპორუჩიკის
ლუარსაგ ნიკოლოზის კე აბულაძის
გარდაცვალებას ქ. სურამში, 9 აგვისტოს. მიცვალებულს მოსვენებენ თფილისის რკ. გზ. სადგურში 14 აგვისტოს, 8 საათზე, საიდანაც წაასვენებენ ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება იქვე გალავანში 15 აგვისტოს.

ილია და სვიანო დარისანის ძენი, ევგენია ათანასეს ასული და დარია გიორგის ასული აბულაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი ძმისწულის და მეორენი მხლის შვილის საპიროთა სიხსენიერო ბათალიონის პოდპორუჩიკის
ლუარსაგ ნიკოლოზის კე აბულაძის
გარდაცვალებას ქ. სურამში 9 აგვისტოს. მიცვალებულს გამოასვენებენ თფილისის სადგურზე 14 აგვისტოს, 8 საათზე, საიდანაც წაასვენებენ ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში, დაკრძალვა იქვე გალავანში 15 აგვისტოს.

გულდამწვარი მშობლები დედა ბატკუ, მამა მიხაკო, შვილები მათი: ნინა, თამარა, სონია, ფაცია, მამია, შოთა და დათიკო მუხაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 16 აგვისტოს ახალი სტ., ჯვარცხმის ეკლესიაში ს. კულაში (სამტრ. რაიონი) გადახდით იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი შვილის
მარუსიას
სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დღის 11 საათზე.

ისაგ ორიანსაჩიისათვის

ორიენტაციის საკითხი კვლავ წამოაყენა ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმა. პირველ რიგში, რასაკვირველია, ჩვენი დამოუკიდებლობის და დემოკრატიის აშკარა მტრები დგანან. ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმული სრულიად ბუნებრივი ნაბიჯი, რომ ინგლისს ჩვენი ქვეყნიდან ჯარები არ გაეყვანა, ადგილობრივი პრესის ერთმა ნაწილმა დიდი ცვლილებების წინამორბედებად გამოაცხადა. ქართულ ზურგების გაზეთს „მოდეს“ ამაში „მარტოველ“ პარტიის გაკოტრება მოეჩვენა, ხოლო ბალშევიკურ და დენიკინის მომხრე გაზეთებმა აღნიშნული ნაბიჯი დამოუკიდებლობის იდეის გაკოტრებად ჩასთვალეს და ეს მათთვის სასიამოვნო ამბავი, თუცა მიკობ-მოკობით, მთელს ქვეყანას ამცნეს.

სწორედ ამ დროს ეწვია ჩვენს ქვეყანას დენიკინის მოციქული ბრათაოფი. ეს პაციენტული პიროვნება ჩვენი ქვეყნის შველია და თითონ ის ფაქტი, რომ დენიკინმა ჩვენთან მოსალაპარაკებლად ჩვენივე თანამემამულე გამოგზავნა, ბევრისთვის დიდმნიშვნელოვანი გახდა. ბევრს გაუღვიძა ამ ამბავმა ტკბილი ოცნება, მიძინებული ილლიუზიები. ინგლისი მიდის, დენიკინი მოდის, ასე აღიბეჭდა მათ გონებაში გენერალ ბარათოვის ჩამოსვლა. საქართველო პოლიტიკურად უმწეოა, ფიქრობენ ისინი. ოსმალეთი ყველას სძაგს და თანაც დაუძლურებულა. ამავე დროს დენიკინის იარაღმა სახელი გაითქვა და სამხრეთ რუსეთში ბალშევიკები შეშურა...

მელმაც მამული და დიდება დაჰკარგა და მისი ამყოლი მცონარე ინტელიგენცია—ყველაფერი დენიკინის ორიენტაციის სასარგებლოდ ამუშავდებოდა. თავისთავად ეხადია, ამათში პირველ ადგილს დაიჭირეს სომეხი და რუსი ყოფილი მოხელენი, რომელნიც გარემოების მიხედვით ხან კანონიერების სამოსელში გამოვლენ, ხან კიდევ უკიდურეს სოციალისტურ ლოზუნგით „მუშათა და გლეხთა“ მთავრობის შექმნას მოითხოვენ.

ცხებ შეიგნიდან ტყდება. დენიკინის ძალა უმთავრესად ჩვენი უძლურებით შეიძლება მნიშვნელოვანი გახდეს. თავისთავად ის დიდს არავფერს წარმოადგენს. მართალია, დენიკინს ჰყავს საკმაო რიცხვი შეიარაღებულ ძალისა, მაგრამ იდეა, რომლითაც დენიკინი სულდგმულობს, ვერ გახდება პოპულარული ხალხის ფართო მასაში. ის გლეხები და მუშები, რომელნიც მის ჯარში არიან, შეიძლება, სიამოვნებით წამოვიდნენ განაპირა კუთხის დასამორჩილებლად და დიდი რუსეთის აღსადგენად, მაგრამ საკუთარ სამშობლოში ისინი ვერ შეურიგდებიან შავი გენერლის შავ საქმეებს. ამიტომ დენიკინის არმია თავისდავე წიაღში ატარებს გახრწნის ნიშნებს. გარდა ამისა, საომარ მოქმედების საწარმოებლად დენიკინს ესაჭიროება დიდად იარაღი და სურსათი, რის შეძენაც მას ძალიან გაუძნელებდა იმის გამო, რომ რუსეთის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ბალშევიკების ხელშია.

რას წარმოადგენს და მახე დაკრძობა საიშედო არაა. დარჩა ამ რიგად საქართველო. ეს ის კუთხეა, რომელმაც ამასი წლის წინეთ გაუადვილა რუსეთს მთელი კავკასიის დაპყრობა. და დენიკინს სურს ისტორიის ამ მაგალითით კვლავაც ისარგებლოს.

მაგრამ დღეს სულ სხვა გარემოებაა. მაშინ, როცა რუსეთი პირველად შემოვიდა ჩვენში, საქართველო შინაურ ანარქიის ალში იყო გახვეული და ამიტომ ხალხს მწვავედ არ განუცდია დაპყრობის უღელი. დღეს ჩვენ დემოკრატიული წყობილება გვაქვს და დენიკინის შემოსვლა იქნებოდა ჩვენი ხალხის ფიზიკური განადგურება. დენიკინი ამ მხრით თვით ალა მავნად ხანს გადააქარბებს. უსაფუძვლოდ ირწმუნებიან ზოგიერთები, ვითომ დენიკინის შემოსვლა დამთავრდებოდა პოლიტიკურ ხელმძღვანელების განადგურებით. ამას ის ვერ დასჯერდება. ჩვენი ქვეყნის ბევრ კუთხეს ის გამოიყენებდა სანდო ელემენტების დასახლებლად და იქ, სადაც დღეს, მაგალითად, გურია და სხვა ზოგიერთი კუთხეებია, დენიკინი იქვე არაა დასახლებდა „მეფისა და სარწმუნოების“ ერთგულს რუსებს, ოსებს და სხვა მსგავს ელემენტებს.

ამიტომ ჩვენი დემოკრატია სწორედ დღეს უნდა დადგეს მტკიცეთ დამოუკიდებლობის ნიადაგზე. დამოუკიდებლობის ორიენტაცია არასოდეს ისე საქმირო არ ყოფილა ჩვენთვის, როგორც დღეს. ყველა სხვა გვარი ორიენტაცია ჩვენთვის მიუღებელია. როგორც ბალშევიკურ სოცდემიას, ისე დენიკინის დიდ რუსეთს ერთნაირის ზიზლით უცქერის საქართველოს დემოკრატია, რომელიც შესძლებს ალაგმოს როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან მომდგარი მტერი.

ციხე შეიგნიდან შეიძლება გატყდეს. ავლაგმით ყველა ის შინაური ელემენტები, რომელნიც ძირს უთხრიან ჩვენი ხალხის აწყოს და მომავალს.

ნებით. „სახალხო“ მაშინ მათ გამოეყომაგა. ასევე თავის მფარველობის ქვეშ დააყენა ვახუთმა „საქართველომ“ გორის ექიპთა თავაშეგებული სურვილი, რომელიც სამაზრო ერობაზე გაბატონებისაკენ იყო მიმართული, თუმცა ნაციონალ-დემოკრატიებმა ერთხელ შეეცინებაც კი შეიტანეს პარლამენტში—რატომ საადმინისტრაციო ფუნქციებს ითვისებს რკინის გზის კავშირიო. თუ გინებავთ ბ. ლი-ს გინაობა სავსებით გაიცნოთ, საქმირო განიხილოთ მისი მეორე პრეტენზია: ყრილობამ გადასწყვიტა, როგორც ეს იყო მუდამ, პრეზიდენტის წევრები ცენტრ. გამგეობისა, რომ კავშირის მუშაობა სთინადლოთ მიმდინარეობდეს, განთავისუფლებულ იქნას სამსახურიდან, ბ. მეგლადემ კი სამინისტროს მოახსენა, რომ ეს ხაზინისთვის საზარალოა და მოითხოვა, რომ ისინი დაუბრუნდნენ სამსახურსო. მერე რა არის აქ მიუღებელი? გინა ყოველმა პარტიანმა კაცმა არ უნდა იცოდეს, რომ საპროფესიო კავშირში მუშაობა არ უნდა ხდებოდეს ხაზინის ხარჯით და ხალხის ინტერესების საზიანოთ?

არ იცის ეს მხოლოდ „სახალხო საქმე“, რომლის უზადრეკი მწერლები დაუბრმავებია იმ გარემოებას, რომ კავშირის გამგეობაში უმრავლესობა ფედერალისტები არიან.

გალუაპიკაპის მუშაობა ჩვენში

უფრო სწორე იქნებოდა ეს წერილი დაგვეწყო ასეთი სათაურით: „პროვოკატორების, მოლაღატეების მუშაობა ჩვენში“.

როცა ჩვენს ქვეყანას რაიქე საფრთხე მოეღოს, სწორედ მაშინ ამოტივტივდებიან ცხოვრების ზედპარხე სხვადასხვა ჯურის მოლაღატეები. და ამ მოლაღატეთა მუშაობას ყოველთვის მეათურობენ ბალშევიკები.

ასე იყო შარშან, როცა ოსმალეთის ჯარი იყო მომდგარი ბათუმზე და ჩვენი მცირერიცხოვანი ჯარი იქ სისხლისაგან იტლებოდა. ასეა ახლაც, როცა დენიკინი მოგვდგომია ყოველი მხრიდან და განადგურებას გვიქაღის.

შარშან ბალშევიკები ხალხს არწმუნებდნენ გურიაში, სამეგოლოში და საქართველოს სხვა კუთხეებში, რომ ოსმალეთი არ მოდის, საქმირო არ არის ბრძოლაო და სხ.

ასეთი მოლაღატური ქადაგებით, თუ სრულიად ვერ დაშალეს ჩვენი სამხედრო ძალა, შეასუსტეს კი—ხალხის ერთ ნაწილში გაანელეს ბრძოლის საქმიროების მისწოაუება.

რა მივიღეთ შედეგათ? ოსმალთა შემოსევა, გურიის ერთი ნაწილის განადგურება, საუკეთესო ციხის—ბათუმის სიმაგრეების ოსმალეთისთვის ჩაბარება და შემდეგ გაშლილ ველზე—ჩოლოქის პირად გამაგრება და აქ ოსმალთა ბრძოლების დაპარცხება...

ის ხალხი, რომელმაც მტერზე გამარჯვება შესძლო ჩოლოქთან, მით უფრო შესძლებდა გამარჯვებას პირველ ხარისხოვანი ციხის ქედლებში, მაგრამ იმ დროს მოლაღატური მუშაობა იმდენათ ძლიერა გამოდგა ჩვენში, რომ ეს ვერ შესძლო ჩვენმა ხალხმა...

განა შეიძლება იმის დაეწყება ოდესმე, რომ როცა მდ. ჭოროხის გაღმა ნაპირიდან ოსმალთა ტყვისი ზუზუნი მოისმოდა, ამ დროს ბალშევიკისაგან მიშველებული ხმალი ტრიალებდა სამეგოლოში?

როცა ჩვენს ხალხს მკერდი ოსმალთა ტყვისთვის ჰქონდა მიშვერილი, ამ დროს მის ზურგში ჩასაცემად ბალშევიკების ხმალი ტრიალებდა...

ეს ისეთი ფაქტია, რომლის უარყოფა ან გადახანჩვება შეუძლებელია.

მაგრამ ბალშევიკები რის ბალშევიკშია, თუ ყველაფერს არ გადაამახინჯებს.


ერთ ერთ ფურცელში, რომელიც მიმართულია „საქართველოს ყველა მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი“, რუსეთის კომუნისტები სწერენ: „ბალშევიკებისაგან და საბჭოთა რუსეთიდან რომ თავი დაეხსნათ ქართველ მენშევიკებს, ისინი 1918 წელს ცდილობდნენ ოსმალეთის ფაშებთან კავშირის შეკვრას“.

„სახ. საქმე“ მკითხველს მოხალისე დახვედრის როლში

გახეთის მკითხველმა და წერაკითხვის უცოდინარმა კი იცის, თუ რა უწყობაა გაბატონებული ჩვენი რესპუბლიკის ფოსტის უწყებაში. ფოსტა თავის პირდაპირი დანიშნულების ასრულებაში ორივე ფეხებით კოჭლობს. ამის მაგალითი სანიშნუთი მოყვანილი გვქონდა ჩვენს გაზეთში ამ რამდენიმე დღის წინეთ. ფოსტამ არა თუ არ უარყო ჩვენ მიერ წამოყენებული ბრალდებები და თავის მართლებას არ შეეცადა, ჯერ ის წერილებიც კი არ მოუკითხავს დანიშნულებისამებრ გადასაცემათ, რომელიც ჩვენს კუთში ჩაუყრიათ მიუტეველ დაუდევრობით.

ჩვენ არა ერთხელ ამოვიღეთ ხმა ფოსტაში გამეფებულ უწყობების წინააღმდეგ; ვასახლებდით უწყობების ერთ ერთ მიზეზსაც—მოსხლეეთა საპროფესიო კავშირის ადმინისტრაციულ საქმეებში ჩარევას, თუცა კარგათ ვიცოდით, რომ კავშირში უმრავლესობა ჩვენი პარტიის მრწამსს მისდევდა. როგორ იქცევა „სახალხო საქმე“? არ გვახსოვს შემთხვევა, რომ ფოსტის მოხელეთა კავშირის მოქმედება „სახალხოს“ მოეწონებოდა.

დღეს? დღეს ეს უშეელებელ მოწინავე წერილს უძღვნის ამ საკითხს და თავგაპოდებით იცავს ვიღაც ლი—ს ყოვლათ შეუწყნარებელ მოსახრებებს. მოვისმინოთ ლი—ს პრეტენზიები. ლი ოლქის უფროსი მგელაძეზე სწერს: „საკვირველია, რომ ეს სწორი უპოვარი რემოკრატია“ იმის მაგიერ, რომ ყრილობის დადგენილებას ანგარიში გაუწიოს და მას უნდობლობაზე ანგარიში გაუწიოს“ და სხვ. გამოდის, რომ ოლქის უფროსი უნდა ემორჩილებოდეს არა დამფუძნებელ კრების ნდობით აღჭურვილ მინისტრს, არამედ მოსამსახურეთა ყრილობას! ასე დასვა ამას წინათ კითხვა სახელმწიფო კანტროლის 101 მოსამსახურემ და მოინდომა ბ. ფ. გოგოჩიაშვილის გადაყენება, დამფუძნებელ კრებაზე გაბატონებით.



რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

14 აგვისტოს, საღამოს 5 ს. შესდგება მეოთხე რაიონულ კოლექტივის მორიგი სხდომა.

დღეს, 14 აგვისტოს დანიშნულია ს. ს. დ. მ. ვ. მესამე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა (კახეთის ქ. № 1).

კვირას, 16 აგვისტოს, დილის 10 საათ. მე-2 მუშათა კლუბში პლენარის პროც. № 55, დანიშნულია გამოჩინებულის საზ. მკვიდრთა საერთო კრება.

პარკინგის ქრონიკა. 4. შორში. შაბათს, 17 აგვისტოს შესდგება მაზრის სოც.-დემ. ორგანიზაციების (კვინტრის სხდომა ფრიად საყურადღებო და სარქარო საკითხების განსახილველად.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში ქვეშეთის საზოგადოების ოთხ ყუთზე პირველმა ნომერმა მიიღო 1196 ხმა, მეცხრემ ორ, მეხუთემ ერთი.

შაზაშვი. 13 აგვისტოს. ს. ქვემო ხევის საზოგადოებაში (ყაზბეგის რაიონში) ამომრჩეველი იყო სულ 3095 მონაწილეობა მიიღო 1294. № 1 მიიღო 1169, № 2—55, № 3—1, № 5—67, № 8—1, № 11—1,

უცხოეთი

21 ივლისის გაფიცვის საკითხი ავსტრიაში. გაფიცვა, რომელიც უნდა მომხდარიყო 21 ივლისს საფრანგეთსა და იტალიაში, გახდა მსჯელობის საგნად ავსტრიის მუშათა საბჭოების ყრილობაზე, რომელიც იმ ხანებში იყო მოწვეული. ფრიდრიხ ადლერის წინადადებით ყრილობამ, ავსტრიის მრეწველობის მდგომარეობის გამო, უარყო კომუნისტების წინადადება, რომ 21 ივლისს ავსტრიაშიც გამოეცხადებინათ საერთო გაფიცვა.

აგრარული რეფორმა პოლონეთში. „უფროსი დე დება“ 22 ივლისის თარიღით იტყობინება, რომ პოლონეთის პარლამენტმა დაამტკიცა აგრარული რეფორმის პროექტის განხილვა, რომლის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ იძულებით ჩამოართვას კერძო შემოსულებს მიწები და განაწილოს ის გლეხებს შორის პატარა ნაკრებად—15 გექტრებამდე. მიწის მიღების დროს უპირატესობა ეძლევათ სხვათაშორის პოლონეთის ჯარის სალდათებს. შემოსულებს რჩება მიწის აკარ-გაიანობის და მიხედვით მაქსიმუმ 60—160 გექტრამდე. ეს მაქსიმუმი გადიდება 400 გექტრამდე, თუ მამული ძვირფას სამეურნეო კულტურისაა. იმ მიწებს, რომლებიც დაუმუშავებელი იქნება, ექსპროპრიაციას უმჯობესად მთლიანად. ზოგიერთი კულტურული მემკვიდრეობანი შეიძლება დაუნარჩუნონ მათ გულანდელ პატრონებს მათი რაოდენობის და მიუხედავად.

სოციალისტური პარტიის წინადადება, რომ მიწები უსასყიდლოდ ჩამოერთვათ, უარყოფილ იქნა სხვა პარტიების მიერ. პარლამენტმა ერთ ხმად დაადგინა, სრულიად არ მიეცეთ მიწა იმათ, ვინც თავის ნებით დაიტაცებს მიწას და არ მოუტყვის, რომ ის სახელმწიფომ მისცეს.

შეერთებული შტატები და ეკონომიური შეთანხმებანი.

„მონიტორ ორიენტალ“ 30 ივლისის №-ში ბეჭდავს შემდეგ დებულებას პარიზიდან: აშკარა გახდა, რომ შეერთებულ შტატებს განზრახვა არა აქვთ რაიმე თვისების ეკონომიური შეთანხმება დასდონ, რომლებიც მათ მთავრობას შეეჩებოდნენ. ასეთაა პოზიცია, რომელიც დაიკავა ამერიკის დელეგაციამ ტიტონის წინადადების შემდეგ, რომელსაც ამერიკელები უყურებენ, როგორც ახალ ფორმას გამოთქმულ ძველ პროექტს, რომელსაც მიზნით აქვს ოპის ხარჯები ამერიკასაც მოახვიოს

თავს. ამერიკის ფინანსიურმა ექსპერტებმა მრავალჯერ განიხილეს ეს წინადადება და მუდამ ერთა და იმავე დასკვნაზე მივიდნენ. ერთ-ერთმა ამერიკელმა დელეგატმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: შეერთებული შტატები თავისი უდიდესი რესურსებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, დაეხმარება ევროპას. მაგრამ ეს დახმარება ეხლა უნდა ემყარებოდეს კერძო ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დავუშვავთ ამერიკის მთავრობას და ოპის შედეგებით თავის დღეში ველარ გამოვსწორებთ. ჩვენი მიზანმიმართულია, ჩვენი მრეწველობა და ჩვენი ფინანსიური დაწესებულებანი მზად არიან დაეხმარონ სხვა ქვეყნებს, რომ აღსდგეს მათი ნორმალური ცხოვრება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კერძო პირების მიერ პირობების შეკვირვის წესით. რამდენადაც ლაბარაკია გუშინაობაზე, ამ მხრივ ამერიკის იმედი უნდა გქონდეს, შეიძლება ყველაზე მეტიც, ვიდრე სახელმწიფოსა, მაგრამ გუშინაობა არ უნდა ავიოთ საქმეებში.

ირლანდიის გარეშე

როგორც უწყებულა, ირლანდიის კითხვის გადაჭრა რთულდება ირლანდიის ერთი ნაწილის—ულსტერის მცხოვრებთა ენერგიული ოპოზიციით, რომლებიც წინააღმდეგნი არიან არა თუ ირლანდიის დამოუკიდებლობისა, არამედ იმისაც, რომ მას მიეცეს რაიმე თვითმართვლობა. როდესაც ოპის წინ პარლამენტმა მიიღო კანონი ირლანდიის პომრულის (ავტონომიის) შესახებ, ულსტერში საქმე შეიარაღებულ აჯანყებამდეც კი მივიდა. მოწყობილ იქნა თითქმის ცალკე ულსტერელების ჯარი, რომლის სათავეში იდგა ინგლისის კონსერვატორთა ერთ ერთი ლიდერი ედუარდ კერსონი. ოპის დროს კერსონი ლლოიდ-ჯორჯის მთავრობის წევრი იყო და მის ახლობელ თანამშრომელად ითვლებოდა. ამიტომ თორმეტ ივლისს ულსტერში ერთ-ერთ კრებაზე მის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა, რომელთაც ის აჯანყებით იმუქრებოდა, თუ მთავრობა ირლანდიელებს რაიმე დავომობდა, მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისზე. მისი სიტყვა წარმოადგენს კონსერვატორისთვის მეტად დამახასიათებელ აპოლოგიას შეიარაღებული წინააღმდეგობისა და მოთავსებულია „ტიმისის“ 14 ივლისის №-ში.

კერსონი მოითხოვდა უარყოფით აქტი ირლანდიის პომრულის შესახებ. „ეს აქტი—სიტყვა მან—მკვდრათ არის დაბადებული. თუმცა ის შეტანილია კანონთა წიგნში, მაგრამ ის დაიბადა, მოკვდა და დამარხულ იქნა ერთი დღის განმავლობაში. ვინ დაიბარა ის? ულსტერელები მოხალისეებმა“. კერსონის სიტყვით, ეს აქტი ირლანდიის ნაციონალისტებს აძლევს შესვენების შესაძლებლობას, რომ შემდეგში მოითხოვონ ირლანდიის სრული დამოუკიდებლობა. „ახლა არსებობს მხოლოდ 2 გზა: ან დაქვეა კავშირისა ინგლისთან და ლოიალობა შევინადრებ, ანდა ირლანდიის რესპუბლიკა“. ირლანდიის რესპუბლიკის მიმართ საწინააღმდეგო სიტყვების თქმის და დაცვისათვის შეეძლება, კერსონი განავრძობს: „მე ვფიქრობდი, ინგლისის ხალხს თქვენს წინაშე და ვაცხადებ: თუ იქნება რაიმე ცდა, რომ თქვენ წაგართვან იოტის ოდენა უფლებებიც კი, როგორც ინგლისის მოქალაქეებს, და პრივილეგიები, რომლებიც თავისუფლებისათვის ომში მოიპოვეთ, მაშინ მე დავუშვებ ულსტერის ვოლანტერებს“. შეეხო რა კამპანიას, რომელსაც ამერიკაში აწარმოებენ ირლანდიის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, კერსონმა სიტყვა: „მე ვიცი, რომ არის ინგლისში ისეთი სახელმწიფო კაცები, რომლებიც აპერკის ნებას დართავენ, რომ ხვალ მათ ფეხი თავზე დაადგას. ისინი ფიქრობენ, რომ ეს არის საშუალება ინგლისის და ამერიკის დაახლოვებისა. მე მინდა ეს დაახლოვება და მეგობრობა, რომ ქვეყნის მომავალი ალბად დამოკიდებული იქნება და შეერთებული შტატების ფრთხილობაზე, მაგრამ არც ამ მეგობრობისა და არც სხვა რაიმე მიზნისათვის მე არ დავყაბუდებ, უკან დავიხიო იმ კამპანიის წინაშე, რომელიც ამერიკაში სწარმოებენ. მე ეხლა სერიოზულად ვფიქრობ ამერიკას. „თქვენ გააკეთეთ თქვენი საქმეები და ჩვენ კი ჩვენსას გავაკეთებთ“. კერსონის სიტყვის დასასრული პირდაპირ გამოწვევაა: „მე წინადადებას ვაძლევ მთავრობას, რომ გააუქმოს აქტი პომრულის შესახებ. მე მაგონდება თუ რა უკანონოდ იქნა ის მიღებული. სანამ ოპი სწარმოებდა, ჩვენ არაფერს ვაკეთებდით, მაგრამ მე თქვენ ვალდებულნი ვართ, რომელსაც მე ხელახლა ვიმეორებ, რომ თუ ისინი ხელახლა გააცოცხლებენ ამ აქტს, ან შეეცდებიან მის ძალაში შეყვანას, მე ისევ

შეეკრებ დროებით მთავრობას და წინადადებას მივსცემ, რომ ჩვენ თითონ უარყოფით ეს აქტი, თუ ამას სხვა არავინ ჩაიდენს. ჩემს მხარეს იქნებიან ულსტერის ყველა ლოიალური მამაკაცები და დედაკაცები“.

ჯარის რეორგანიზაციის გეგმა

(წერილი რედაქციის მიმართ) „ერთობის“ № 180—ში მოთავსებულია წერილი „ჯარის რეორგანიზაციის გამო“, სადაც ავტორი აღნიშნავს უსამართლობას კომისიის მიერ ჩადენილს ჯარის რეორგანიზაციის დროს. ამით ვაცხადებ, რომ მე არც სამხედრო კომისიის და არც სხვა რაიმე ამგვარ კომისიის წევრი არა ვარ და არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს ჯარის რეორგანიზაციის საქმისთან. რაც შეეხება იმ ოფიცერს, რომელსაც „კარგათ იცნობენ გორში მიაღალატურ გამოსვლებით“ და სხვა... ამის შესახებ მე არაფერს თქმა არ შემიძლიან, რადგანაც ამ წერილში არ არის დასახელებული არც გვარი და არც სახელი ოფიცერისა.

დ. ონიავილი.

ჩინის გზაზე

სადგურ ნიგოთისა და ლანჩუის შუა ბაქანია გასაკეთებელი. ნაწილს საზოგადოებისათვის სახლთან მოუხდომებია ბაქანი—ლანჩუთიდან ერთი ვერსით, ნაწილს კი შუა ალაგას. ამიტომ არის საქმე შეჩერებული. რად ხდება ეს? ნუ თუ ჩინის გზის ადმინისტრაცია ვერ გაარკვევს, კომისიის საშუალებით, სად უფრო სამართლიანი და ხელსაყრელი ფართო საზოგადოებისთვის ბაქანი? მოვითხოვთ, რომ ამ კითხვას მიეცეს სათანადო ყურადღება.

დ. კუპრაშვილი.

მუშათა შორის

მაუგებრობა, თუ დაუდევრობა? ამ მოკლე ხანში ჩაჩბაიას ღვინის სარდაფიდან მუშების მოთხოვნით დათხოვილი იქნა მოუშავე ანიჩა ნანობაშვილი. მიზეზი დათხოვნის იყო მისი ჟურნალის გამოსვლები, წინადადებები და უშეგრი სიტყვებით გალაშქრება, როგორც მუშების, ისე ჩვენი სასახლეო ჯარის, გვარდიის და თვით მთავრობის წინააღმდეგაც კი. ამავე სარდაფის მომუშავეთა კრებაზე 5 ივლისს ნათლად გამოაშკარავდა ა. ნანობაშვილის რეაქციონური მიმართულება, აშკარა თანაგრძნობა მისი შავი გენერალი დენიკინისადმი. მუშებს არ შეეძლოთ ასეთი პიროვნებისთვის, რომელიც მუშების სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას და დემოკრატიულ წეს წყობილებას ფეხქვეშ სთელავს, გულგრილად ეცქერნათ და თავის წრეში დაეთოვებინათ, რის გამოც ის იქნა კიდევაც გაძევებული. ეს საქმე უკვე უწყის შრომის სამინისტრომ, რომლის წარმომადგენელი, ჩვენი განმარტების შემდეგ, დარწმუნდა ნანობაშვილის ანტი-მუშურ პოლიტიკის წარმოებასა და მოქმედებაში. ქან ნანობაშვილს, მთელი თავისი ძალ-ღონით იცავდა და იცავს ეხლაც სარდაფში მომუშავეთა კავშირის თავმოყვარეობის დროს. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია მისი მოქმედება ამ მხრივ, როდესაც ის ერთი კერძო პიროვნებაზე სცელის მთელ მუშების ინტერესებს. ცენტ. მოპრიგებელ კამერის მოწვევით ჩვენ, მუშები გამოეცხადეთ კამერაში 30 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სადაც უნდა გარჩეულიყო ეს საქმე. 9 საათზე მან ქურხელმა გამოგვიცხადა, რომ დღეს სხდომა არ შედგებოდა და გამოგვისტუმრა; შემდეგ რასა ხდებოდა? ქან ნანობაშვილს მოაქვს ჩვენთან მოწერილობა მომრიგებულ კამერიდან, სადაც ნათქვამია, რომ ცენტ. მოპრიგებელმა კამერამ იმავე საღამოს, ე. ი. 30 ივლისს გააჩნია საქმე ნანობაშვილისა და მუშების სტენო დამნაშავედ მის დათხოვნაში. დადგენილებით მოითხოვენ ნანობაშვილის უკანვე სამუშაოზე მიღებას და თანაც მომკიდარ დღეების საფასურით მის დაკაყოფილებას დამნაშავეთა მხრივ. რაშია საქმე, რა მოხდა? დღეს ჩვენ ვცხოვრობთ დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ არავითარი პიროვნებას არ მიეკუთვნა საშუალება კერძო სიამოვნებაზე გასცვალოს საზოგადოებრივი ძალა უფლებანი და ფეხქვეშ გასთელოს სიმართლე. ჩვენ, მუშები, ზემო აღნიშნული სარდაფისა, მზათა ვართ ყოველგან და ყოველთვის დავამტკიცოთ ჩვენი სალი შეხედულება და ჯეროვანი ჩვენი მოქმედება ამ საქმეზე. ჩვენ არ ვაუბრებართ არავითარ საზოგადოებრივ, პროფესიონალურ, თუ ამხანაგურ სასამართლოებს, პირიქით, ჩვენი სიმპატია მათთან არის.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ მოვითხოვთ, თუცა საქმე ანიჩა

ნანობაშვილისა ვაირჩა მომრიგებელ კამერაში, ის იქნეს ხელმოწერილი ნანობაშვილის მიერ (ჩინების ჩამორთმევა).

ჩაჩბაიას ღვინის სარდაფში მომუშავენი.

თფილისის საქონლის სადგურის მუშების ცხოვრებიდან. სად. ს.-დ. ორგ. მეცადინეობით აღმოფხვრილ იქნა მოლაღატე პირების გამოსვლები; არავითარ ანარქიულ გამოსვლებს გასავალი არ ჰქონდა. ბოროტი, ქურდი ხელის მოქმედება ოდნავათაც არ სჩანდა, მაგრამ მათი ჩანასახები კიდევ ყოფილან. აგერ მეორე თვეა, ვილაყვებს შეუდგენიან ოქმები, „პრივილეგიები“, ბარათები, რომელიც მიმართულია პირველ რაიონის შტაბის წევრის და ადგილობრივი მოწინავე მუშების მიმართ, აშხ. დ. ლ. ელენტიას წინააღმდეგ. მის უპირებუნ „გადასახლებას“ და სხვა და სხვა. ორგანიზაციას არასოდეს არ დაუტოვებია უყურადღებოთ ასეთი ფაქტები, ამოირჩიეს შეერული კომისიები, სადაც სწარმოებს სასტიკი გამოძიება ამას სჩადიან ის პირები, რომელნიც სთესვენ შურს და მტრობას მუშებს.

შორში. 3 აგვისტოს შესდგა მუშა-ნოქართა პროფ. კავშირის კრება. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) 8 საათის სამუშაო დღე, 2) შემოსავლის მიხედვით გადასახადების შემოღება და ერთ დროული გადასახადები, 4) ბინა კავშირისთვის, 5) მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს აშხ. ვ. წერეთელი. იგი ამბობს: 8 საათის სამუშაო დღე უკვე დაკანონებულია თვითმართვლობის მიერ და ამ მოკლე ხანში გამოქვეყნდებოდა. მეორე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ალ. ცერცვაძისა. იგი მოკლეთ აცნობს კრებას, თუ რას უნდა მოხმარდეს ის ფული, რომელიც უნდა გადახდონ შემოსავლის მიხედვით გადასახადები და ერთდროული გადასახადები. კრებამ დაადგინა: იყოს ერთდროული გადასახადები ათი მანეთი, თანახმად პროფ. კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებისა და შემოსავლის მიხედვით გადასახადები კი იყოს მანეთზე 3 კაპ. ბინის შესახებ თავმჯდომარე ამბობს,—ვინაიდან ჯერ ჯერობით ბინა ვერ გვიშოვია კავშირისთვის, მიენდოს ალ. ცერცვაძისსა და პ. სერიბეგოვს გამოიხიონ ამ ცრტა ხანში შესაფერი ბინა. რიგ გარეშე შემოდის კითხვა ელექტრო სადგურის მუშებისა, ჩვენი მოთხოვნების საქმე როგორ არის. თავმჯდომარე უპასუხებს: თქვენი თხოვნა განიხილა პროფ. კავშირის გამგეობამ და გადაეცა სასრულეში მოსაყვანათ შრომის რწმუნებულს. საზოგადო კრებამ იჩინა თფილისში გასაგზავნათ აშხ. პ. სალიბეგოვი და დაავალა ყველა შინაური საქმეების გაგება.

ტანჯული ქალი

ს.-დ. პარტიის

თფილისი. საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტ. სომხურმა სექციამ მოიხილა რა მოხსენება პროვინციიდან ჩამოსული ამხანაგებისა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აშხ. კიტაჯიანის მოხსენებას ახალქალაქის დემოკრატიის მიმე მდგომარეობაზე და დაადგინა ვააცნოს მოხსენების შინაარსი ფართე მსსსას და მიიღოს ყოველივე ზომები ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა დასახმარებლათ. ამასთანავე სექცია გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ მთავრობა აღმოუჩენს მას დახმარებას, შესაძლებლობის ფარგლებში.

თფილისი. 5 აგვისტოს შესდგა კუკიის მცირე კოლექტივის მორიგი სხდომა. საზოგადო კრების მოწვევის შესახებ სხდომაზე დადგინა: რადგან ამხანაგების უმრავლესობა გასულია ქალაქიდან და ფართო კრებას მოწვევა შეუძლოა, საზ. კრების მოწვევა გადაიდოს სექტემბრისათვის.

კრებამ მიიღო აუდიტორიის გამგეობის თხოვნა, სადაც ნათქვამია: კოსკი შეერთდეს აგქალის მუშათა კლუბს და სახალხო კითხვათა აუდიტორიას.

მიეცეს წინადადება სარევიზიო კომ. ვააკეთოს რევიზია კოლექტივისა.

კრებამ დამუშეული სომხების დახმარების შესახებ დადგინა: ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინოს მათ—წარმომადგენის გამართვით, ფულისა და ტანისამოსის შეგროვებით. დაევალა ამხანაგებს სომხური სექციის შედგენა და იაჩიკების მოწყობა სომხ ამხანაგებისაგან.

ინსტრუქციის განხილვა გადაიდო. კრებამ თათბირის შემდეგ მიიღო წინადადება თხოვოს კოლექტივს ყოველგვარი პროექტების დებულებები იგზავნებოდეს მცირე კოლექტივშიც, წინასწარ განსახილველად.

ცაყა.

თფილისი. 4 აგვისტოს, შესდგა დეპოს მუშა-მოსამსახურეთა პარტიული კრება. მომენტუ მონსენება გააკეთა აზხ. ილია მანჯგა-ლაძემ, სატარიფო პალატაზე აზხ. ვასო სიხარულიძემ. ის ვრცლათ შეეხიის სატარიფო პალატის მნიშვნელობას, მის წარმოშობას და იმ დაბრკოლებას, რომელიც მას ხდებდა წინ. კრებამ მონსენების შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: საქ. ს. დ. მ. 3. დეპოს მუშა-მოსამსახურეთა კრებამ მოისმინა რა მონსენება აზხ. ვ. სიხარულიძისა, სატარიფო პალატის მიზნების და მუშაობის შესახებ, დაადგინა: მხარი დაუჭიროს სატარიფო პალატის მუშაობას და იმედს გამოსთქვამს კრება, რომ სატარიფო პალატა შეეცდებოდა შემდეგში სათანადოთ ვაატაროს მომართება, რომ იქნეს გათანაბრებული ყველა კავშირები და განახორციელოს ის მიზნები, რომელიც დაუსახავს მას. რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

პარტიული მუშაობის შესახებ აზხ. ვ. ნინუშვილი მოუწოდა კრებას, რომ მუყაითათ მოკიდონ მუშაობის ხელი და მისთან ერთად განმარტა, რომ ბევრი პარტიის წევრები ეწერებიან მხოლოდ იარაღის მისაღებად. ჩვენ, ორგანიზაციის ხელმძღვანელები, მივიღებთ ყოველ ზომებს, რომ ასეთი პირები ჩამოვაშოროთ პარტიას. გარდა ამისა მან განაცხადა, რომ ნაწილს, პარტიის საწევრო ფული არ შექვთ გადახდილი და საჭიროა ზომების მიღება.

სად. ფოთი. 28 ივლისს შესდგა ფოთის რაიონის რეკონს გზის ს. დ. მ. პარტიის წევრთა: საერთო კრება.

პარტიული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა აზხ. ერ. ცხადია კრებამ ერთხმად აღიარა პარტიული მუშაობისათვის გაორკმ ცეხები ენერჯითა საქმანობა.

კრებამ საჭიროდ სცნო კოლექტივის რეორგანიზაციის მოხდენა და ამოიჩინა ახალი წევრები: ერ. ცხადია, კირ. ჯაიანი, ალ. თუნიო, მიხ. ჯაჯანიძე, ნესტ. ახვლედიანი, ესტ. თოფური და გრ. ოსაძე; კანდიდატებათ: შონია და პანძავა.

პარტიული კრების გათავების შემდეგ მოხდა ახალი კოლექტივის სხდომა. კომიტეტში არჩეულ იქნა ალ. თუნიო, მიხ. ჯაჯანიძე და ნესტორ ახვლედიანი. დადგინდა იქნა ყოველ კვირაობა კოლექტივის კრების მოწვევა, პარტიული კრების კი თვეში აუცილებლათ ორჯერ.

პროპინდია

ს. პატარაძე ული. ეს ორი თვეა, რაც ს. პატარაძე ული საუფიქრო სასწავლებელი დაარსდა კერძო პირების შემოწირულობის საშუალებით. მასწავლებლათ მოწვეულია ქნი ქურხული. მიღებულია თვრამეტი მოწვეუ, სულ ქალები.

როგორც მასწავლებელი, ისე შეგიძლება ძრიელ ბეჯითად ეკიდებინა საქმეს. ორი კვირის განმავლობაში მშენიერი სხვადასხვა ქსოვილები გააკეთეს; ვინც ნახა ამ შეგიძლება ქსოვილები, ყველას ძლიერ მოეწონა.

სასწავლებელს ჯერ საკუთარი დაზგები არა აქვს, და რომ ეს ნაკლი თავიდან აგვეცილებინა, ფულის შოვნა იყო საჭირო, რაც თავს იდგა სასწავლებლის მზრუნველმა, ანასტასია ილიას ასულმა გულისაშვილისამ. შაბათს, 2 მარიამობისთვის გამართულ იქნა წარმოდგენა. დიდძალი ხალხი დაესწრო. იყვნენ მეზობელ სოფლებიდანაც. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. დასწრე საზოგადოება მასობრივად დაარჩა. წაიდა შემოსავალი 1600 მანეთი დაარჩა. გარდა ამ შემოსავლისა, ანასტასია გულისაშვილისამ ნაცნობთა შორის შეაგროვა ხსენებული სასწავლებლის სასარგებლოთ რამდენიმე ასი მანეთი ფული.

დასასრულ დიდ მადლობას ვუძღვნი ანასტასია ილიას ასულს გულისაშვილისას, რომელიც ბევრს ცდილობს სასწავლებელს ხელი შეუწყოს, რითაც შეეძლება.

წაქრო ს. ბილანაშვილი.

ვთხოვ სხვა ქართულ გაზეთებს გადაბეჭდოს ეს წერილი.

ოჯუჩკაძე თი. ადგილობრივ გარნიზონის ჯარისკაცთ სასურველ წესიერათ უპირაფთა თაფი. ამის მიზნათ უნდა ჩაითვალოს ოფიცერთა კეთილსინდისიერი მუშაობა და უფროსთა გონიერი ხელმძღვანელობა. ყოველ-დღე ჯარი ეწვევა ვარჯიშობას და გამუდმებულად სწავლობენ სამხედრო საქმეს.

ღირს აღსანიშნავია ძმების, გენერალ დავითის და პოლკოვნიკ ტიტე ართიმელიძეების

ენერჯიული და დაუღალავი მუშაობა ჯარის მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლათ.

ჯარს აქვს კარგათ მოწყობილი უნივერსიტეტი, სადაც დრო გამოუყენებთ კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა საჭირო ბოროტო კითხვებზე. ძალიან დაინტერესა ჯარისკაცები აბ. წულაძის ლექციებმა მეფუტკრეობის შესახებ. ეს ლექციები, მიუხედავად იმისა, რომ ვიწრო სპეციალურ საგანს ეხება, ამავე დროს უდიდესი გასართობიც დარჩა ჯარისკაცთათვის, რადგანაც ლექტორი ძლიერ გასაგებ ენით კითხულობს.

მ აგვისტოს სერ. ყორჯოლიანმა წაიკითხა ლექცია: „რესპუბლიკანური ჯარი და მისი დანიშნულება“. ლექციამ ჯარისკაცებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

მონბლანი.

წარ. რედაქციის მიხარით

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ უახლოვეს ნომერში შემდეგი: როგორც კი გავცნაბთ „ერთობის“ 174 ნომერში მოთავსებულ წერილის „ფოსტის წესები“-ს შინაარსს, ჩვენ იმ წამსვე მოვხდინებთ სასწრაფო გამოძიება იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ხსენებულ შენიშვნაში ნაჩვენები შეცდომა. ამ გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ამ შემთხვევაში ფოსტის კანტორას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. რედაქციის ყუთში ის წერალები არ ყოფილა ჩადებული. ისინი ყოფილან დაღვრებული მაგიდაზე საბონინეტო ყუთებში დასაწყსოვებლად. კურიერს ამოუღია რედაქციის ყუთიდან წერილები, დაუწვია ამ საერთო მაგიდაზე, სადაც გასარჩევი წერილები ლაგდება, და თვითონ წასულა სხვა საქმეზე. მოსგლისას რედაქციის წერილებთან ერთად გაუყვალა თქვენი შენიშვნაში ნაჩვენები წერილებიც. ჩვენ გვეგონა ძეგური თვითონ გააწორებდა თავის შეცდომას და დააბრუნებდა ფოსტაში რედაქციისადმი არა ყუთიდან კორესპონდენციას; ამასაც აღვნიშნავთ, რომ ჩვენც უნდა მოგვეკითხა.

ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოს უფროსი მგელაძე.

„ფრონტის დღის“ ანგარიში

ჯერ-ჯერობით მთავარ კომიტეტში წარმოდგენილ და დამტკიცებულ ანგარიშებიდან (გარდა ყულაბებისა) აღმოჩნდა შემოსავალი ფულათ: 1) ივ. გომართლისაგან 1000 მან., 2) ირაკლი მიხ. ბილანოვისაგან 1000 მან., 3) ი. ბ. ინსარაძისაგან 50 მან., 4) ვასილ გერ. ბერელაშვილისაგან 250 მან., 5) ამბ-ბა „იმერეთი“-საგან 500 მ., 6) ტრასი ფარჯანაძისაგან 50 მ., 7) ალ-რე ნიკ. ალიევისაგან 200 მ., 8) ე. კ. 100 მ., 9) კოჭუბო „უნიონი“-საგან 1000 მან., 10) ამბ-ბა „ტოლდე“-საგან 300 მ., 11) ნოე სიხარულიძისაგან 5000 მ., 12) ნინო ნ. გაბაშვილისაგან 500 მან., 13) უკრაინის მისიის, სამხედრო ატაშეს და გენერალურ საკონსულოს მოხელეთაგან (ჩეკით ვოლვა-კაპის ბანკზე) 5000 მ., 14) დავით ქე-ბაძისაგან 2000 მ., 15) სახალხო გვარდიის მოსამსახურეთაგან 500 მან., 16) ქართული კლუბის ოფიციატებისაგან 3100 მ., 17) ა. ხოშტარაის საპნის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთაგან 747 მ., 18) ნიკო ტრაპაძისა და ეისარ. ქუკუსელისაგან ნაცნობ მეგობართა შორის შეგროვილი 200 მ., 19) თფილისის მე-აფთიაქეთა კავშირისაგან 200 მან., 20) სასტუმრო „ორიანტის“ მოჯარადრე მკვარაიანისაგან 1000 მან., 21) ევროპულ კავ-კასტური ბანკისაგან 5000 მანეთი., 22) ჩაიბაიასაგან 100 მან., 23) კავკას. დამზ.-სატრანსპ. საზ-გან 50 მ., 24) ბეგთაბეგოვებისაგან 1000 მ., 25) ოფიცერთა ეკონომიურ საზ-გან 500 მ., 26) კულტურულ საზოგადოების „განთიადი“-საგან (ავქალა) 784 მ. 50 კ., 27) სამხედრო სამინისტროს სტამბისაგან 1040 მ., 28) შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმის თანამშრომლისაგან 1564 მ., 29) სახელსნო კლუბის ბუფეტის მოიჯარადრე სტეფანე აგინჯალოვისაგან 1300 მ., 30) სახელსნო კლუბის ბუფეტის მოსამსახურეთაგან 400 მ., 31) სომხურ დრა-მა-ოპერეტულ ჯგუფის დირექტორი იოსებ აფანასის-ძე კოსკანიანისაგან 400 მ., 32) სახელსნო კლუბიდან 7832 მ. 50 კ., 33) მეორე ქართულ კლუბიდან 16945 მ., 34) ამხ. ხოშტარაის მთ. კონტროლისაგან 250 მ., 35) დ. სარაჯაშვილის მთ. 3000 მ., 36) სამხედრო სამინისტროს საბარგო და საავიჯო საწყობის ოფიცერთა და მოხელეთაგან 463 მ., 37) სამხედრო სამინისტროს ფესხაცემის შესაკეთებელ სახელოსნოს მუშებისაგან 370 მ., 38) ქალაქის სასაკლავოს მუშა-მოსამსახურეთაგან 2227 მ. 93 კ., 39) გაზეთ „ნოვოსტი დნია“-ს რედაქციისაგან 120 მ., 40) თფილისის სადგურის საბარგო მუშათა არტელისაგან 1000 მ., 41) „მ. ლალიძე აზხ.“-

საგან 1000 მ., 42) ავქალის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთაგან 2435 მ. 25 კ., 43) ველისციხეში სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენიდან 1400 მ., 44) ველისციხის ქალთა წრისაგან 1000 მ., 45) ჩუღურეთის მცირე კოლექტივისაგან არსენალის რუსულ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენიდან 1298 მ. 85 კაბ., 46) წალვერში გამართულ სეირნობიდან 10310 მან., 47) ცემში გამართულ სეირნობიდან 3902 მ. 50 კ., 48) ხონის სახალხო გვარდიის მიერ შეგროვილი ყულაბებით და სეირნობიდან 3745 მ. 75 კ., 49) სოფ ძეგვეში შეგროვილი 315 მ. 75 კ., 50) სახელმწიფო თეატრში გამართულ დ. ლამბაშიძის მოხსენებიდან 1950 მ. 80 კ., 51) ტრამვაის ბაღში გამართულ სეირნობიდან 1025 მ., 52) ღია წერილებისა და გაზეთების გაყიდვიდან 3521 მ. 55 კ., 53) ერთობის უბნის მუშათა კლუბიდან 1735 მ., 54) საბჭოთალოს მუშათა კლუბიდან 3020 მ. 30 კ., 55) ორთაქალის მუშათა კლუბიდან 3526 მ. 75 კ., 56) მეოთხე რაიონის „ფრონტის დღის“ მომწყობ კომისიისაგან 5927 მ., 57) პირველი რაიონის „ფრონტის დღის“ მომწყობ კომისიისაგან 73500 მანეთი, 58) ავღაბრის „ფრონტის დღის“ მომწყობ კომისიისაგან 18641 მანეთი, 59) კახეთის რკინის გზის „ფრონტის დღის“ მომწყობ კომისიისაგან 1525 მ. 50 კ., 60) თფილისის მუშებისაგან 1000 მ., 61) ქართულ კლუბის ბუფეტისაგან 3288 მ., 62) მათე სულუბიასაგან 1000 მ., 63) სამხედრო ეკლესიაში შეგროვილი 1257 მ. 6 კ., 64) გაზეთ „ერთობის“ რედაქციისაგან გადმოცემული მათ მიერ მიღებული: ა) 3. თალაკვიძისაგან საბუნჩაში (ბაქო) გამართულ საღამოს წმინდა შემოსავალი 10258 მ. 60 კ., ბ) ალ. მითაი-შვილისაგან 357 მ., გ) ნესტორ მაშულაშვილისაგან 300 მ., დ) ივანე ცხომელიძისაგან 100 მ., ე) ლავრენტე რუსაძისაგან 200 მ., ე) ახალქალაქში შეგროვილი 3000 მ. სულ 14215 მ. 60 კ., 65) სამტრედიის რაიონის „ფრონტის დღის“ მომწყობ მთავარ კომისიისაგან ა) ქ. სამტრედიის შეგროვილი 25105 მ. 40 კ., ბ. ჯიხაიში 8568 მ. 30 კ., გ) კულაში 388 მ. 50 მ., სულ 34062 მ. 20 კ., 66) ჩუღურეთის მცირე კოლექტივისაგან არსენალის თეატრში გამართულ წარმოდგენიდან 1077 მ., 67) ყვირილა შორაპანის სახალხო გვარდიის შტაბის „ფრონტის დღის“ კომისიისაგან 24,470 მ. 20 კ. ჯამი 287,194 მ. 99 კ.

„ფრონტის დღის“ მომწყობი მთავარი კომიტეტი.

(დასასრული იქნება)

განცხადებანი

საქართველო იუნიონი

ტანისამოსის შკაფი, ორი საწოლი პრუტინიანი მატრასი და სამზარეულოს მაგიდა. მისამართი: ორლოვის ქუჩა, № 5, დილის 9—6 საათ.

დოქტორი მ. ბოლშაქოვი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშვილის მთავარი გონსპიტალისა და ენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თფილის ავადმყოფობანი. ამოიჩვენა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის სამმართველო ამით აცხადებს მოიჯარადრეთა საყურადღებოთ, რომ 18 აგვისტოს, დილის 10 ს., სამმართველოს შენობაში (რუსთაველის პრ. № 43)

დანიშნულია შეჯიბრება

მსურველთა შორის, რომელთაც კი შეუძლიათ დაამზადონ თფილისის დასახლებულნი მათის მომავალ ზამთრისათვის საჭირო სათბობი მასალა (147 ნახ. კუბ. საფ. შეშა და 300 ფუთი ქვანახშირი). სამმართველო დანიშნულ დღისათვის იწვევს ამ საქმის აღების მსურველებს.

საქართველოს რსბ. მოწყობის დამა კავშირის


ამით აცხადებს, რომ კავშირის კანცელარია დროებით მოათავსებულია ზუბალაშვილის სახ. სახლში (სასამართლოს ქუჩა, № 48, მეორე სართული). გამგეობა სთხოვს ქ. თფილისის ყველა მოწყალეების დებს გამოცხადდნ კავშირის კანცელარიაში 13 აგვისტოდან—17 აგვისტომდე რეგისტრაციისათვის, რაც აუცილებელია მომავალში კავშირის წევრებზე პროდუქტების გასანაწილებლად. კავშირის კანცელარია ღიაა დილის 10—2 საათამდე, საღ. 5—7 ს. გამგეობა.

მატიკვემულ სასოციალისტების საუფრადღებოთ.

„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი“

იღებს ყოველგვარ საქრავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთა სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწად არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ქრა, კერვის, ქარგვის, ფესხაცემის და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან.

მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ენოში.



ივლიება სასლი
ფეოდეისის ქ. № 31, (2 უბანი).
ქვემო მ. მ. მათაგორაშვილი
ქალისა და საღმრთო-მეცნიერების მუშა-მოსამსახურეთა ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდუბის
პირმო სამსუარლო
ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღმოს 8 საათამდე, (24—12)

ექიმი მ. ა. შაშვარანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საზარდე ორგანიზების სნეულე ბანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 საათს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი ნ. ლ. ტაშიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბნობო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანაორენ დღეებს დილს 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სამხოვისის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი ა. მ. კამალია
სიფილისი და ვენერიული სნეულე ბანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პრ. სასტუმრო „ნოა“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მაღარიით (ციებ-და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულის, თირკვის, ქარებით და სხვა შინაგან სნეულეებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—8 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ა. მამაკაიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ქლექსისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხსინჯვა და წამლობა X-სხივებით, დიდი სალენოიდი და არსეველი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღა. მოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საქიმო კაბინეტი
ექიმ მ. თ. ტაშვალაშვილის
მიიღებინა: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულე ბანი ავადმყოფები საზარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავთმყოფოსთან; ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 5) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი მ. მ. შიშლო-ნახაშვილი
მედიცინის დოქტორი ვენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკალური კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი მ. მ. შაშვარანი
ღებულ უბს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მალათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ექიმი ქალი მ. მ. შიშლო-ნახაშვილი
მედიცინის დოქტორი ვენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკალური კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი მ. მ. შაშვარანი
ღებულ უბს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მალათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ექიმი ქალი მ. მ. შიშლო-ნახაშვილი
მედიცინის დოქტორი ვენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკალური კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი მ. მ. შაშვარანი
ღებულ უბს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მალათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ექიმი ქალი მ. მ. შიშლო-ნახაშვილი
მედიცინის დოქტორი ვენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკალური კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი მ. მ. შაშვარანი
ღებულ უბს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მალათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.